

# 2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

## მე-4 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა დათვლის, სივრცული და ბრტყელი ფიგურების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

- **რიცხვების შეკრება, გამოკლება და ფრჩხილების გახსნა**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს 100-ზე ნაკლებ ნატურალურ რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება.

**მაგალითი:**  $29 - (1+9) =$

A) 19

B) 29

C) 10

- **რიცხვთა მიმდევრობა**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების მარტივ მიმდევრობებში რიცხვების ცვლილების ამოცნობა და ამაზე დაყრდნობით, ამ მიმდევრობის რომელიმე წევრის პოვნა:

**მაგალითი:** დააკვირდი მიმდევრობას და გამოიცანი მიმდევრობის მომდევნო წევრი:  
8; 15; 22; 29; ...

A) 36

B) 35

C) 38

- **სივრცული და ბრტყელი ფიგურები**

- მოსწავლემ უნდა იცოდეს სივრცული და ბრტყელი ფიგურები. სივრცული ფიგურების ნიბოების, წვეროების და ნახნაგების რაოდენობა.

**მაგალითი:** რამდენი ნახნაგი აქვს კუბს?

A) 4

B) 6

C) არც ერთი

- **ამოცანების ამოხსნა რიცხვთა მოქმედებებით**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს ამოცანების ამოხსნა რიცხვების სწორი მოქმედებების (მიმატება, გამოკლება, მარტივი გამრავლება და გაყოფა) შერჩევითა და გამოყენებით.

**მაგალითი:** გიორგი 5 წლით უფროსია ნიკაზე, ნიკა კი 3 წლით უმცროსია მათეზე.  
რამდენი წლით უფროსია გიორგი მათეზე?

A) 4

B) 8

C) 2